



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“  
„Maritime Teaching Training Centre Equator“, LTD

---

ვამტვიცებ

შპს „სსსც ეკვატორის“ დირექტორის მშ

\_\_\_\_\_ ამირან მგელაძე

დამტვიცებულა კოლეჯის დირექტორის

2021 წლის 30 ივნისის 10 ბრძანებით

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“

პედგოგიური საბჭოს დებულება

ნდ -01 -03



ბათუმი

2021



შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის „ეკვატორი“ პედაგოგიური საბჭოს  
დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს დებულება განსაზღვრავს შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის „ეკვატორი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებას და აწესრიგებს საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. პედაგოგიური საბჭო შედის კოლეჯის შემადგენლობაში.

3. პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, კოლეჯის წესდებით, კოლეჯის დებულებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 2. პედაგოგიური საბჭოს ფორმირების წესები და პირობები**

1. პედაგოგიურ საბჭოს ქმნის კოლეჯის დირექტორი ბრძანებით, განსაზღვრავს მის შემადგენლობას და კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა შემადგენლობიდან ნიშნავს პედაგოგიური საბჭოს წევრებს.

2. კოლეჯის დირექტორი ავტომატურად - იმავდროულად არის პედაგოგიური საბჭოს წევრი და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე - მთელი თავისი უფლებამოსილებით.

3. პედაგოგიური საბჭოს წევრთა ვადა განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

4. პედაგოგიური საბჭოს წევრის სტატუსის მოპოვების საფუძველია დირექტორის მიერ პედაგოგიურ საბჭოს წევრად მისი დანიშვნა. პედაგოგიურ საბჭოში წევრები სასურველია შეყვანილ იქნენ თანაბარი პროპორციით თითოეული მოდულებისა და მოდელ-კურსების მიხედვით.

5. პედაგოგიური საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) კოლეჯთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძველები.

**მუხლი 3. პედაგოგიური საბჭოს საქმიანობის პრინციპები და მისი უფლებამოსილება**

1. პედაგოგიური საბჭოს საქმიანობის პრინციპებია თანასწორუფლებიანობა, კანონიერება, გამჭვირვალობა.

2. პედაგოგიური საბჭო:

ა) სახავს ღონისძიებებს IMO-ს საერთაშორისო კონვენციების, მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის - STCW 1978/2010 და გემბანის რიგითი მეზღვაურისა და სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მეზღვაურთა მაღალხარისხიანად მომზადებისა და გადამზადებისათვის;



- ბ) განიხილავს სწავლების მეთოდების სრულყოფის საკითხებს;
- გ) განიხილავს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, საწვრთნელ კურსებს, პრაქტიკული დავალების ფორმებს (ჩეკ-ლისტებს)
- დ) პერიოდულად ისმენს ანგარიშებს სასწავლო, აღმზრდელობითი, კულტურულმასობრივი და სპორტული მუშაობის შესახებ;
- ე) აჯამებს პრაქტიკის კომპონენტის შედეგებს და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთობლივად სახავს და შეიმუშავებს გაუმჯობესების მექანიზმებს;
- ვ) სახავს გადამზადების/წვრთნისა და პროფესიული სწავლების განვითარების გეგმას და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- ზ) დადგენილი წესის მიხედვით შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო ერთეულების, ლაბორატორიების, კაბინეტების და სხვ. შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- თ) ისმენს საწვრთნელი ცენტრის ანგარიშებს გაწეული მუშაობის და გამოშვებული კადრების ვარგისიანობის შესახებ, სახავს კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების გზებს;
- ი) ისმენს წამყვანი პედაგოგების, შორეული ნაოსნობის კაპიტნების, უფროსი მექანიკოსებისა და ელექტრომექანიკოსების მუშაობის გამოცდილებებს, ცდილობს მათ მოზიდვასა და ჩართვას ცენტრის პროგრამების შემუშავებასა და სასწავლო საქმიანობაში;
- კ) შეიმუშავებს და ხარისხის მართვის მენეჯერთან და კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს;
- ლ) სვამს საკითხებს თანამშრომელთა კომპეტენტურობის შესახებ, თუ ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებენ. ამ საკითხის დასმას წინ უნდა უსწრებდეს მუშაობის შემოწმება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი პედ.საბჭოს შემადგენლობიდან;
- მ) განიხილავს კოლეჯის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;
- ნ) განიხილავს საკითხებს მისაღები კონტიგენტისა და გამოსაშვები სპეციალისტების შესახებ, მათი დასაქმების საკითხებს, მის ანალიზს;
- ო) განიხილავს სასწავლო სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, ელექტრონული ბიბლიოთეკისა და სხვა სასწავლო მასალების საკითხებს;
- პ) განიხილავს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ჟ) განიხილავს ინსტრუქტორებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების შესახებ საკითხებს.
- რ) განიხილავს სხვა საკითხებს, დაკავშირებულს კოლეჯის საქმიანობასთან;
- ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

#### მუხლი 4. პედაგოგიური საბჭოს სხდომის მომზადება და წარმართვა



1. კოლეჯის პედაგოგიური საბჭოს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს დირექტორი. სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. დასაშვებია რიგგარეშე სხდომების მოწვევა დირექტორის გადაწყვეტილებით ან/და საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

2. პედაგოგიური საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დღის წესრიგის, დროისა და ადგილის შესახებ. დღის წესრიგი თვალსაჩინოებისათვის განთავსდება საინფორმაციო დაფაზე. საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგში შეიტანონ დამატებითი საკითხები, რაც უნდა ეცნობოს მდივანს სხდომების დაწყებამდე 2 დღით ადრე.

3. პედაგოგიური საბჭოს საქმეთა წარმოების დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს მდივანი, რომელსაც ნიშნავს დირექტორი. მდივანი ადგენს სხდომებზე განსახილველ საკითხთა ნუსხას, გაცნობის მიზნით გადასცემს მათ საბჭოს წევრებს, ორგანიზებას უკეთებს საბჭოს სხდომების მოწვევებს, ადგენს და აწესრიგებს სხდომების ოქმებს და ა.შ.

4. პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, პედაგოგიური საბჭოს წევრი, რომელიც ზედიზედ ხუთჯერ არასაპატიო მიზეზით გააცდენს სხდომას საბჭოს რეკომენდაციით და დირექტორის უშუალო გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდეს წევრის მოვალეობისაგან. საბჭოს შემადგენლობის შევსება ასეთ შემთხვევაში ხდება დადგენილი წესით.

5. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია დირექტორის ხმა.

## **მუხლი 5. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება**

1. პედაგოგიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით. რომლის რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს მდივანი.

2. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც ამ სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განხილვის საგანს უკავშირდება. ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

3. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვა, შეცვლა ან გაუქმება დაიშვება მხოლოდ წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით, აგრეთვე პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის წარგინებით - კოლეჯის პარტნიორთა საერთო კრების მიერ.



დოკუმენტში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი

| ცვლილებათა<br>საფუძველი | ცვლილებების<br>დამტკიცების თარიღი | შეცვლილი<br>გვერდები | კორექტირების<br>შემსრულებელი პირის<br>ხელმოწერა |
|-------------------------|-----------------------------------|----------------------|-------------------------------------------------|
|                         |                                   |                      |                                                 |



**შპს „საზღვაოსასწავლოსაწვრთნელცენტრი  
ეკვატორი“  
„Maritime Teaching Training Centre Equator“, LTD**

**პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის ფურცელი**

| სახელი, გვარი          | თანამდებობა                                      | ხელმოწერა | თარიღი |
|------------------------|--------------------------------------------------|-----------|--------|
| 1 სოფიკო ყულუჯიშვილი   | ხარისხის მენეჯერი;                               |           |        |
| 2 მირანდა თედორაძე     | საწვრთნელცენტრის ხელმძღვანელი;                   |           |        |
| 3 მზიური ვარშანიძე     | სასწავლო პროცესის მენეჯერი;                      |           |        |
| 4 დენიზი ცინცაძე       | პროფესიული სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;   |           |        |
| 5 ნინო ხვიაჩია         | საქმის წარმოებისა და საზღვრითი ერთობის მენეჯერი; |           |        |
| 6 თამარ ჩელებაძე       | კარიერული განვითარების და HR მენეჯერი;           |           |        |
| 7 ინდირა ვარშანიძე     | ბიზნესოპერატორი;                                 |           |        |
| 8 იაკობიძე             | ექიმი;                                           |           |        |
| 9 მარიკა მიქელაძე      | ხარისხის მართვის სპეციალისტი;                    |           |        |
| 10 მანანა აბუსელიძე    | ფინანსური მენეჯერი;                              |           |        |
| 11 თამთა ბერიძე        | ბუღალტერი;                                       |           |        |
| 12 ალექსანდრე ბერაძე   | IT მენეჯერი;                                     |           |        |
| 13 ირაკლი ბეჟანაძე     | IT მენეჯერი;                                     |           |        |
| 14 ომარ ზოიძე          | უსაფრთხოების სპეციალისტი;                        |           |        |
| 15 მერაბ დიასამიძე     | შეწყობის და მატ. უზრუნველყოფის მენეჯერი;         |           |        |
| 16 ოსმან ხინკილაძე     | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 17 გენადი კომახიძე     | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 18 ლეონიდასიძე         | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 19 დავითიანი ივანე     | პროფ.მასწავლებელი                                |           |        |
| 20 დავითიანი მაია      | პროფ.მასწავლებელი                                |           |        |
| 21 ლომაძე მარიამ       | პროფ.მასწავლებელი                                |           |        |
| 22 მამულაძე ლევან      | ინსტრუქტორი / პროფ.მასწავლებელი                  |           |        |
| 23 მურვანიძე მალხაზ    | ინსტრუქტორი / პროფ.მასწავლებელი                  |           |        |
| 24 ნიგალიძე დოდო       | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 25 შამილაძე თეიმურაზ   | პროფ.მასწავლებელი                                |           |        |
| 26 გიორგი მჟავია       | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 27 დავით კამლაძე       | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 28 ბუბა ვერაძე         | პროფ.მასწავლებელი                                |           |        |
| 29 თეიმურაზ თურმანიძე  | ინსტრუქტორი / პროფ.მასწავლებელი                  |           |        |
| 30 გოგმაჩაძე გოჩა      | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 31 ვარშანიძე თენგიზ    | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 32 ვარშანიძე მურმან    | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 33 ვარშანიძე მალხაზ    | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 34 ზაქარაძე გოჩა       | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 35 კიკაჩიშვილი კარლო   | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 36 სარხანიძე მევლუდ    | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 37 ცინცაძე ვიტალი      | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 38 შერვაშიძე დურმიშხან | ინსტრუქტორი                                      |           |        |
| 39 ნინიძე ზურაბ        | ინსტრუქტორი                                      |           |        |



შპს „ს ა ზღვა ო ს ა ს წ ა ვ ლ ო ს ა წ ვ რ თ ნ ე ლ ო ც ე ნ ტ რ ი  
ე კ ვ ა ტ ო რ ი “  
„Maritime Teaching Training Centre Equator”, LTD

---

---

|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |
|  |  |  |  |  |

პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

| № | პერიოდული შემოწმების თარიღი | შემმოწმებლის სახელი, გვარი<br>თანამდებობა | ხელმოწერა | შესწორებას<br>ექვემდებარება<br>პუნქტები |
|---|-----------------------------|-------------------------------------------|-----------|-----------------------------------------|
|---|-----------------------------|-------------------------------------------|-----------|-----------------------------------------|



შპს „საზღვაოსასწავლოსაწვრთნელოცენტრი  
ეკვატორი“  
**„Maritime Teaching Training Centre Equator”, LTD**

---

---

|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|
|  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|